დიმიტრი გეგენავა

სეკულარიზმის სამართლებრივი კონცეფცია და თანამედროვე მსოფლიო

„გამოაცხადე ლექცია ან პანელი თემაზე – „რელიგია ჩვენ დროში“ და უფრო დიდი დარბაზის დაქირავება მოგიწევს“.[1]

I. შესავალი

რელიგიის თავისუფლება არაა საჩუქარი, წყალობა ან პრივილეგია, ბოძებული სახელმწიფოებისგან, პირიქით, სახელმწიფო იზღუდება რელიგიის თავისუფლებით.[2] რაც უფრო მეტად ემახსოვრებათ ადამიანებს ეს გარემოება, მით უფრო ნაკლებად მოახერხებს სახელმწიფო, თავისი შეხედულებები მოახვიოს მათ თავს და რაც მთავარია, ჩაერიოს პირად ავტონომიაში, რომელიც რწმენასა და აღმსარებლობასთან მიმართებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და იმავდროულად, ბევრისთვის საკრალურიცაა.

საუკუნეების განმავლობაში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები სხვადასხვა განვითარებას ჰპოვებდა და რა თქმა უნდა, არც თანამედროვე სამყაროშია მათ შორის დამოკიდებულება თუ დამოუკიდებლობა ერთგვაროვანი. დასავლურმა ცივილიზაციამ განმანათლებლობისა და შემდეგ უკვე ლიბერალური სეკულარიზმის წყალობით, შეძლო და რელიგია საჯაროდან კერძო სივრცეში გადაიტანა.[3] აღნიშნული შეიძლება ტექნოლოგიური განვითარების დარ, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაც კი იყოს. მიუხედავად ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა ნაირგვარო-

---

[1] იხ., Fish S., One University under God? The Chronicle of Higher Education, 2005.

[2] Esbeck C.H., Religion and a Neutral State: Imperative or Impossibility, Cumberland Law Review, Vol.15, 1984, 82.

[3] იხ., გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 47-53.

ბისა, ცივილიზებული სამყარო მეტ-ნაკლებად თანხმდებოდა რელიგიის ინტიმურ ხასიათსა და მის „განკერძოებაზე“[4]. თუმცა ბოლო წლებია სეკულარულ საზოგადოებებში სხვადასხვა აქტიურობა შეინიშნება რელიგიის კვლავ საჯარო სივრცეში დაბრუნებასთან დაკავშირებით. ფიში ჯერ კიდევ თითქმის 15 წლის წინ წინასწარმეტყველებდა აკადემიურ სფეროში რელიგიის თაობაზე დებატების გააქტიურებას.[5] ჰაბერმასისეული დისკურსი სეკულარულიდან პოსტ-სეკულურ საზოგადოებად ქცევაზე[6] უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

რელიგიის საჯარო სფეროში დაბრუნებამ თუ დაბრუნების მცდელობამ ავტომატურად წინ წამოწია ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების საკითხები.[7] ამ „კვლავდაბრუნების“ მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს, თუმცა იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უშუალოდ სეკულარიზმის კონცეფციის სამართლებრივი გააზრებისა და ამ მიმართულებით შესაბამისი პრობლემების გამკლავების კუთხით. მეტიც, საქართველოში, სადაც სეკულარიზმი, თავისი სრული მოცულობით, არც არასდროს დანერგილა, კიდევ უფრო მწვავედ დგას იგი. ამ სტატიის მიზანი სწორედ სეკულარიზმის სამართლებრივი განზომილების მიმოხილვა, მისი ძირითადი მოდელებისა და თანამედროვე პრობლემების შეფასებაა, რაც, თავის მხრივ, ქართულ სინამდვილეში, გლობალური კონტექსტის გათვალისწინებით, ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებისა თუ რელიგიის „განკერძოების“ მიმართულებაზეც აისახება.

---

[4] Asad T., Formations of Secular, Christianity, Islam, Modernity, Stanford University Press, 2003, 205; Chaplin J., The Place of Religious Arguments for Law Reform in a “Secular State”, Law and Justice, Vol.162, 2009, 25.

[5] De Been W., Taekema S., Religion in the 21st Century, Debating the Post-Secular Turn, Erasmus Law Review, Vol.5, No.1, 2012, 1.

[6] იხ., Habermas J., Zwischen Naturalismus und Religion, Philosophische Aufsätze, Frankfurt am Mein, 2009.

[7] De Been W., Taekema S., Religion in the 21st Century, Debating the Post-Secular Turn, Erasmus Law Review, Vol.5, No.1, 2012, 1.

II. სეკულარიზმის სამართლებრივი კონცეფცია
1. სამი განზომილება: რელიგია, ეკლესია და სახელმწიფო

სეკულარიზმის კონცეფციის ორი გაგება არსებობს: 1. იგი განიხილება, როგორც რელიგიის ინსტიტუციური ფორმის (ეკლესიის)[8] და სახელმწიფოს გამიჯვნა და 2. რელიგიისა და საჯარო სივრცის (სახელმწიფოს) განცალკევება. პირველი საკმაოდ გავრცელებულია და უამრავი ქვემიმართულებაც აქვს, ხოლო მეორე არა იმდენად სამართლებრივი მოვლენაა, რამდენადაც სოციალური და მისი მიზანი გაცილებით ფართოა, ხშირად კი საჯარო სივრციდან რელიგიის სრულიად გაძევების შინაარსამდე დაიყვანება. ამასთან, აუცილებლად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უამრავი კლასიფიციკაციის მიუხედავად, აუცილებელია პაუნდისეული განსხვავების[9] გათვალისწინებაც, – ერთია, რა წერია „წიგნებსა“ და სამართლებრივ აქტებში და მეორეა, თუ როგორ სრულდება ეს ყოველივე პრაქტიკაში. ამიტომაც საკმაოდ ხშირია სისტემათა აღრევა და ფუძემდებლური მოცემულობების ერთმანეთზე ზემოქმედებაც.

რელიგია-სახელმწიფოს ურთიერთობათა კლასიფიკაციისთვის შესაძლებელია გამოდგეს საზოგადოებრივი განწყობების მიხედვით დაჯგუფება: 1. რელიგია სრულად პრივატიზებული უნდა იყოს და გაქრეს საჯარო სივრციდან; 2. რელიგია და სახელმწიფო ინსტიტუციურად უნდა გაიმიჯნონ ერთმანეთისგან; 3. სახელმწიფო და ეკლესია ორგანულად ავსებენ ერთმანეთს და სახელმწიფოც აქტიურად უნდა იყოს ჩართული რწმენის განმტკიცებასა და საზოგადოების გაერთიანებაში.[10]

---

[8] საკონსტიტუციო სამართლისა და სეკულარიზმის კვლევების ტრადიციით, „ეკლესია“ გულისხმობს ინსტიტუციური ფორმით არსებულ რელიგიას, ნებისმიერ რელიგიურ ორგანიზაციას და ამ შემთხვევაში ფარავს ყველა რელიგიურ მიმდინარეობას. ტექსტში „ეკლესია“ სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენება.

[9] იხ., Pound R., Law in Books and Law in Action, American Law Review, Vol.44, No.1, 1910, 12-36.

[10] იხ., Esbeck C.H., Religion and a Neutral State: Imperative or Impossibility, Cumberland Law Review, Vol.15, 1984, 75-76.

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ყველაზე მარტივი კლასიფიკაცია შემდეგნაირადაა შესაძლებელი: ეკლესია და სახელმწიფო არაა გამიჯნული; ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამიჯნულია.[11] ამ სისტემით მარტივად იმიჯნება სეკულარული და არასეკულარული სახელმწიფოები, თუმცა მათ შორის არსებული უამრავი ჰიბრიდული ფორმის მართებული კვალიფიკაცია მაინც ჭირს. ყველაზე ზოგადი განმარტებით, სეკულარიზმი ეკლესიისა და სახელმწიფოს ინსტიტუციური გამიჯვნაა,[12] როდესაც ამ ორს შორის „გამმიჯნავი კედელია"[13] აღმართული ისე, რომ ეკლესია არ ერევა სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში, ხოლო, თავის მხრივ, სახელმწიფო – ეკლესიის საქმეებში, რა თქმა უნდა, ორივე მათგანის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით.

სეკულარიზმი, როგორც პოლიტიკური სისტემა და იდეოლოგია, ქრისტიანული ევროპის პირმშოა, უფრო მეტიც, მისი არსებობა ქრისტიანობის გაძლიერებამ განაპირობა.[14] მისი მთავარი იდეა „სახელმწიფოსა და რელიგიის ინსტიტუციური და კონსტიტუციური ურთიერთგამიჯვნაა"[15] და სრულიად ლოგიკურად, ევროპული საკონსტიტუციო სეკულარიზმი პირდაპირ განმანათლებლობას უკავშირდება,[16] შემდეგ კი ამერიკულმა სამართლებრივმა აზროვ-

---

[11] Troper M., French Secularism, or Laïcitė, Cardozo Law Review, Vol.21, 2000, 1269.

[12] გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 40.

[13] Carlton C., The Faith, Understanding Orthodox Christianity, An Orthodox Catechism, Salisbury, 1997, 266; Doerr E., The Importance of Church-State Separation, in: Toward a New Political Humanism, Edited by Seidman B.F. & Murphy N.J., New York, 2004, 73

[14] იხ., Yildirim S., Expanding Secularism's Scope: An Indian Case Study, "The American Journal of Comparative Law", Vol. 52, 2004, 903.

[15] ერქვანია თ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი – ქართული მოდელი, მოკლე შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ევროპული კავშირის მაგალითზე, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა", N6, 2013, 32.

[16] Sajó A., Preliminaries to a Concept of Constitutional Secularism, "I-Con", Vol.6, No.3-4, 2008, 608.

ნებამ დახვეწა, განავითარა და მეოცე საუკუნეში უკვე საბოლოო ფორმა შესძინა. ამის გათვალისწინებით, სეკლულარიზმი სამართლებრივ სივრცეში „ლიბერალურ-დემოკრატიულ კონსტიტუციონალიზმთანაც“ შეიძლება გაიგივდეს.[17]

2. სეკულარიზმის ძირითადი სამართლებრივი მოდელები

სეკულარიზმის შინაარსი სიღრმეებში არაერთგვაროვანია და ფართოდ განიმარტება. როზენფელდი ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა შემდეგ კლასიფიკაციას წარმოადგენს: 1. სეკულარული მოდელი (ფრანგული, თურქული); 2. აგნოსტიკური სეკულარიზმი – უარი ფავორიტიზმს (ამერიკული მოდელი); 3. კონფესიური სეკულარიზმი (სეკულარულია, თუმცა გარკვეულწილად მაინც ენიჭება მნიშვნელობა და უპირატესობა უმრავლესობის შეხედულებებს).[18] კაზანოვა სეკულარიზმის სამ მიმართულებას გამოჰყოფს: 1. სეკულარიზმი, როგორც რელიგიის უარყოფა; 2. სეკულარიზმი, როგორც რელიგიის პრივატიზაცია და 3. სეკულარიზმი, როგორც სხვა სფეროებიდან რელიგიური სფეროს გამოყოფა-განსხვავება.[19]

სეკულარიზმის სამართლებრივი მოდელები შესაძლებელია შემდეგ მიმართულებებად დაჯგუფდეს: 1. სრული გამიჯვნის მოდელი და 2. თანამშრომლობითი სეკულარიზმი. თუმცა ასევე შესაძლებელია შერეული, ე.წ. ჰიბრიდული მოდელის სეკულარიზმის სახედ მიჩნევა. თავის მხრივ, სრული გამიჯვნა მოიცავს ლიბერალურ და სახელმწიფო სეკულარიზმს, ასევე ანტიეკლესიის მოდელებს.[20]

---

[17] De Been W., Taekema S., Religion in the 21st Century, Debating the Post-Secular Turn, Erasmus Law Review, Vol.5, No.1, 2012, 2.

[18] Rosenfeld M., Introduction: Can Constitutionalism, Secularism and Religion Be Reconciled in an Era of Globalization and Religious Revival?, Cardozo Law Review, Vol. 30, 2009, 2349.

[19] Chaplin J., The Place of Religious Arguments for Law Reform in a “Secular State”, Law and Justice, Vol.162, 2009, 25.

[20] იხ., გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 29.

ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო ეკლესიის მოდელიც სეკულარიზმში განიხილება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ეკლესიის არსებობა უფრო მეტად სიმბოლური ან ფორმალური მოცემულობაა და რეალურად სახელმწიფო დემოკრატიულია, უზრუნველყოფს რელიგიის თავისუფლებასა და თანასწორობის პოლიტიკას, თუმცა მისი განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, იგი მაინც უფრო განყენებული სისტემაა და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობათა პოლიტიკურ-სამართლებრივ პალიტრაში სპეციალურ ადგილს იკავებს.

2.1. სრული გამიჯვნა

სრული გამიჯვნის მოდელის კლასიკური სახე ლიბერალური სეკულარიზმია, რომელიც აშშ-ის წიაღში აღმოცენდა და რომლის ჩამოყალიბებაშიც გადამწყვეტი როლი ჯერ კიდევ დამფუძნებლებმა ითამაშეს, განსაკუთრებით კი მედისონისა და ჯეფერსონის ღვაწლია აღსანიშნავი.[21] ალბათ, არსად ისე არ დაუბალანსებია საკონსტიტუციოსამართლებრივი იდეები ერთმანეთს, როგორც ამ ორი გენიალური ამერიკელის შემოქმედებაში. ფედერალისტისა და ანტიფედერალისტის შეხედულებებმა ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების შესახებ ერთმანეთი გააძლიერეს და ის პოლიტიკურ-სამართლებრივი სინამდვილე შექმნეს, რომელიც საუკუნეების შემდეგაც ნათელ და მკაფიო წითელ ხაზებად ემსახურება ცივილიზებულ მსოფლიოში ამ ურთიერთობათა სიჯანსაღეს.

ლიბერალური სეკულარიზმის არსი ეკლესიისა და სახელმწიფოს საქმიანობისა და მოქმედების სფეროთა გამიჯვნას ემსახურება, სადაც ისინი ერთმანეთის სფეროებში არ ერევიან, თუმცა

[21] Amundson S., Separation of Church and State: How It Has Impacted Religious Diversity, SPEA Honors Paper Series, Vol.2, #12, 2008, 1; Beydoun Kh.A., Laïcité, Liberalism, and the Headscarf, Journal of Islamic Law and Culture, Vol.10, No.2, 2008, 196; ნარინდოშვილი მ., გოგელია ვ., ჯულაყიძე თ., ჯაში ზ., გლურჯიძე ე., რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004, 261.

ინარჩუნებენ საქმიან ურთიერთობებს.[22] ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ამერიკული მოდელის დახასიათება შეიძლება შემდეგი ნიშნებით: გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლება უზრუნველყოფილია; სახელმწიფო პატივს სცემს რელიგიურ აღმსარებლობას და აღიარებს რელიგიურ ტოლერანტობას; ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამიჯნულია.[23] აკრძალულია რომელიმე რელიგიისა თუ რელიგიური ორგანიზაციისთვის უპირატესობის მინიჭება, ასევე შტატისა და ფედერალურ დონეზე დაფინანსება,[24] თუმცა, იმავდროულად, რელიგიური ორგანიზაციები საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ.[25] მიუხედავად რელიგიური ნეიტრალიტეტისა, ბუნებრივია, ყოფით თუ კულტურულ დონეზე ყველა რელიგიის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება არაა. მაგალითად, ინდიელებს ეკრძალებათ მათი საკრალური რიტუალისთვის პეიოტის გამოყენება,[26] ხოლო მორმონებისთვის მრავალცოლიანობა ოფიციალურად დაშვებული არაა და მათ უარი ეთქვათ პოლიგამიის კრიმინალიზაციიდან გამონაკლისზე,[27] მაშინ, როცა ქრისტიანებსა და იუდეველებს უფლება აქვთ, გამოიყენონ ღვინო რიტუალური დანიშნულებით, საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლის მოხმარების აკრძალვის მიუხედავად.[28] მიუხედავად ამ ნიუანსებისა, უზრუნველყოფილია უმთავრესი – რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, ასევე მათი გაგება ზოგადი თავისუფლების იდეის კონტექსტში.

---

[22] იხ., გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 49.

[23] Esbeck C.H., Religion and a Neutral State: Imperative or Impossibility, Cumberland Law Review, Vol.15, 1984, 69.

[24] Everson v. Board of Education, 330 U.S. 1,18 (1947).

[25] Greenawalt K., Religion and the Constitution, Vol.2: Establishment and Fairness, Princeton, 2008, 57.

[26] Employment Div. Dept of HumanRes. v. Smith, 494 US 872 (1990).

[27] Reynolds v. United States, 98 US 145 (1878).

[28] Board of Education v. Gramet, 512 US 687, 727 (1944) (Kennedy, J., Concurring)

ლიბერალური სეკულარიზმის თეორია წლების განმალობაში განვითარდა და ბევრი განშტოება გაჩნდა, თითოეულმა სახელმწიფომ თავისი კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების შესაბამისი მიდგომა აირჩია.[29] თუმცა შენარჩუნებულია ამ მოდელის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომლებიც დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში სრულიად ინტეგრირდება ღირებულებათა წესრიგისადმი იდეალური შეთავსების გამო.

სახელმწიფო სეკულარიზმი სრული გამიჯვნის საკმაოდ მკაცრი ფორმაა, რომელიც სეკულარიზმს, როგორც სახელმწიფოს საკონსტიტუციო პრინციპს განიხილავს.[30] საკონსტიტუციო დონეზე მისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება ხაზს უსვამს იმ როლს, რომელსაც იგი კონკრეტული ქვეყნის ღირებულებათა წესრიგში ასრულებს. თითოეულ სახელმწიფოს მისი არჩევისა და დამკვიდრების თავისი უნიკალური ისტორიული გზა და მიზეზები აქვს. მაგალითად, საფრანგეთში სახელმწიფო სეკულარიზმი (Laïcité) სრულიად ექსკლუზიური ფორმითაა დამკვიდრებული და იგი რესპუბლიკანიზმთან ერთად საფრანგეთის უმთავრეს პრინციპადაა აღიარებული.[31] ლაისიტე განმანათლებლობის, მეფისა და ეკლესიის ერთობლივი მოქმედებების მიმართ წინააღმდეგობისა და ფრანგული რევოლუციის პირმშოა,[32] ამიტომაც ხშირად მას რელიგიის საწინააღმდეგო მოდელადაც კი განიხილავენ, ვინაიდან მისი მიზანი არა მხოლოდ ეკლესია-სახელმწიფოს ინსტიტუციური გამიჯვნა, არამედ ზოგადად რელიგიის საჯარო სფეროდან სრული იზოლაციაა[33] (ყოველ შემთხვევაში, დეკლარირებულად მაინც), რასაც

---

[29] იხ., გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 50-52.

[30] Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 113.

[31] Annicchino P., Laïcité as Civil Religion: An Italian American Perspective, The George Washington International Law Review, Vol.41, No.4, 2010, 821.

[32] Choudhury N., From the Stasi Commission to the European Court of Human Rights: L'Affaire du Foulard and the Challenge of Protecting the Rights of Muslim Girls, Columbia Journal of Gender and Law Vol.16, No.1, 2007, 252.

[33] Gedicks F.M., Religious Exemptions, Formal Neutrality, and Laïcité, Indiana Journal of Global Legal Studies, Vol.13, Issue 2, 2006, 476.

ზურგს ფრანგული სამართლებრივი სისტემა და მართლმსაჯულებაც უმაგრებს.[34] ამის გათვალისწინებით, ფრანგული სეკულარიზმის რომელიმე ზოგადი კატეგორიისადმი მიკუთვნება საკმაოდ რთულია, იგი თავისი მახასიათებლებით უფრო განყენებული მოცემულობაა.[35] იგი სახელმწიფო სეკულარიზმის სხვა მოდელებისგანაც გამოირჩევა, მათ შორის, თურქული ანალოგისგან – იგი მიღებულ იქნა სივრცეში, რომელიც სოციალურად და პოლიტიკურად უკვე სეკულარული იყო.[36] თურქული ლაიკლიკი უმრავლესობის რელიგიის წინააღმდეგ იყო მიმართული.[37] სახელმწიფო სეკულარიზმის პოლიტიკურ-სამართლებრივი მოდელის არჩევას ხშირად კონკრეტული ქვეყნის რელიგიურად მრავალფეროვანი საზოგადოება და ძირითადი რელიგიური მიმდინარეობების მიმართ მაქსიმალურად აბსტრაჰირებისა და ნეიტრალიტეტის დაცვის სურვილიც განაპირობებს (როგორც, მაგალითად, ინდოეთის შემთხვევაში მოხდა[38]).

ანტიეკლესიის მოდელი მხოლოდ პირობითადაა სრული გამიჯვნის სეკულარიზმის ქვეკატეგორია. რა თქმა უნდა, სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ მოდელის მიმდევარი სახელმწიფოები სრულად ემიჯნებიან ეკლესიას, თუმცა პრაქტიკული კუთხით პოლიტიკურად ისინი რელიგიური ორგანიზაციების განადგურებას ცდილობენ.[39] ამიტომაც ანტიეკლესიური სეკულარიზმი ზოგადად რელიგიის წინააღმდეგ მიმართული კონცეფციაა, რომელსაც უმთავრესად არადემოკრატიული, ავტორიტარული ან ტოტალიტარული რე-

---

[34] გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 56.

[35] Troper M., French Secularism, or Laïcitė, Cardozo Law Review, Vol.21, 2000, 1271.

[36] Rosenfeld M., Introduction: Can Constitutionalism, Secularism and Religion Be Reconciled in an Era of Globalization and Religious Revival?, Cardozo Law Review, Vol. 30, 2009, 2349.

[37] იქვე.

[38] იხ., Yildirim S., Expanding Secularism's Scope: An Indian Case Study, The American Journal of Comparative Law, Vol. 52, 2004.

[39] Francis J. G., The Evolving Regulatory Structure of European Church-State Relationships, Journal of Church and State, N4, 1992, 781.

ჟიმები მიმართავენ (მაგალითად, ჩრდილოეთ კორეა[40], საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომამდე[41] და ა.შ.)

2.2. თანამშრომლობითი სეკულარიზმი

რელიგიის დომინანტური როლი კარგა ხანია შეიცვალა, თუმცა მას კვლავაც დარჩა მნიშვნელოვანი გავლენა საზოგადოებაზე,[42] რაც სრულიად ბუნებრივია. სწორედ ამ საზოგადოების განწყობათა გამო ხშირად სახელმწიფო ირჩევს ეკლესიასთან აქტიურ თანამშრომლობას (მაგალითად, გერმანია,[43] ესპანეთი,[44] იტალია,[45] პერუ,[46] საქართველო[47] და ა.შ.). ამ შემთხვევაში, მართალია, ეკლესია და სახელმწიფო ინსტიტუციურად ერთმანეთისგან გამიჯნულია, თუმცა განსაზღვრულია მთელი რიგი იმ სფეროებისა, სადაც ისინი აქტიურად თანამშრომლობენ,[48] მეტიც, ხშირად რელიგიურ ორგანიზაციებს სრულად ან ნაწილობრივ განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსიც ენიჭებათ. მსგავსი მოდელი ძირითადად ევროპული სამართლებრივი სივრცისთვისაა დამახასიათებელი,

---

[40] Temperman J., State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 143-144.

[41] გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 58-59.

[42] დეკანოზი ემანუელი (კლაპსისი), მართლმადიდებელი ეკლესია პლურალისტულ სამყაროში, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, N1(28), 2009, 82.

[43] Heckel M., Religious Human Rights in Germany, Emory International Law Review, Vol.10, 1996, 108.

[44] იხ., სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, გ. რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბილისი, 2011.

[45] იხ., იქვე.

[46] Ibán I.C., God in Constitutions and Godless Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 52-53.

[47] იხ., გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018.

[48] იხ., Cranmer F., Olivia J.G., Church-State Relationships - An Overview, Law and Justice, N162, 2009, 10- 11.

ვინაიდან აქ, ამერიკული ტრადიციისგან განსხვავებით, ეკლესია და სახელმწიფო სრულიად მშვიდობიანა თანაარსებობენ.[49]

ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობა ურთიერთპატივისცემას, კვალიფიკაციასა და კომპეტენტურობას უნდა ეფუძნებოდეს.[50] ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით აქტიურად საგადასახადო და საგანმანათლებლო სფეროებშია.[51] სახელმწიფოს შეუძლია ითანამშრომლოს ცალკეულ რელიგიურ გაერთიანებასთან და მას განსაკუთრებული პრიცილეგიები მიანიჭოს.[52] ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება არაა ვალდებული, ყველა რელიგიურ გაერთიანებას სრულიად იდენტური სამართლებრივი სტატუსი მისცეს.[53] მთავარია, რომ არც სტატუსობრივად და არც შინაარსობრივად კონკრეტულ რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობამ არ შექმნას დისკრიმინაციული გარემო, ხელოვნურად არ დაწინაურდეს ან შეიზღუდოს რომელიმე მიმდინარეობა.

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თანამშრომლობის საკონსტიტუციოსამართლებრივი სისტემა დადებითად ფასდება, თუკი კონსტიტუცია: უზრუნველყოფს ადამიანის ძირითად უფლებებს, ადგენს თანაბარ მიდგომას (თანაბარი და არათანაბარი მიდგომა პროპორციულობის თვალსაზრისით განისაზღვრება), კრძალავს დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესებში ნებისმიერი რელიგიის მონაწილეობას, აღიარებს რელიგიური არსებობის, ყოფის

[49] სტეფანი ა., რელიგიისა და დემოკრატიის ურთიერთშეთავსებადობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, N2(29), 2009, 62.

[50] იღუმენი პეტრე (მეშჩერინოვი), ეკლესიისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის შესახებ, დ. თინიკაშვილის თარგმანი, ჟურნ. „სოლიდარობა“, N1(28), 2009, 94.

[51] Cranmer F., National Churches, Territoriality and Mission, Law & Justice – Christian Law Review, Vol.149, 2002, 161.

[52] Iglesia Bautista “El Salvador” and Joze Aquilino Ortega Moratilla v. Spain, [ECHR], App. no. 17522/90, 11 January 1992.

[53] Canea Catholic Church v. Greece, [ECtHR], App. no. 25528/94,16 December 1997, para.47.

განსაკუთრებულ სტატუსს, უზრუნველყოფს ქვეყნის კულტურული ტრადიციის პატივისცემას.[54]

თანამშრომლობის სამართლებრივი მექანიზმები შეიძლება დაიყოს საკანონმდებლო და სახელშეკრულებო მოდელებად. საკანონმდებლო მოდელი გულისხმობს თანამშრომლობის ნორმატიულ მოწესრიგებას ექსკლუზიურად სახელმწიფოს სამართლებრივი ფორმებით, რაც ძირითადად ორ დონეზე ხორციელდება: მომეტებული ინტერესისა და განსაკუთრებული სტატუსის შემთხვევაში თანამშრომლობის საკითხები მოწესრიგებულია კონსტიტუციით, ხოლო კონსტიტუციაში განსაზღვრული დებულებების პრაქტიკული განხორციელებისათვის, ასევე, ძირითადი კანონის მოწესრიგების არარსებობისას – კანონმდებლობით. სახელშეკრულებო მოდელი საკანონმდებლოს ანალოგიითაა სტრუქტურირებული და გულისხმობს კონკორდატსა (მაღალი სახელმწიფოებრივი დონე) და შეთანხმებებს (კონკრეტულ სფეროში სახელმწიფოებრივი ან უწყებრივი დონე).[55]

III. სეკულარიზმზე, პოსტ-სეკულარიზმსა და „სხვა დემონებზე"

რელიგიასთან მიმართებით სახელმწიფოს ნეიტრალურობა დედუქციურად, ლოგიკური თვალსაზრისით, არა მხოლოდ შეუძლებელია, არამედ სრული მითია.[56] მართალია, მოდერნიზაციის, რაციონალიზაციისა და ფუნქციური დიფერენციაციის პროცესი რელიგია ყოველდღიურად სულ უფრო მეტი სფეროდან აძევებს,[57] თუმცა, ამის მიუხედავად, სახელმწიფოთა მიხედვით ეკლესიების

[54] იხ., Robbers G., Church and State Relations in the Constitutions, in: Law, Religion, Constitution (Freedom of Religion, Equal Treatment, and the Law), Edited by Cr. Cianitto, W.C. Durham, S. Ferrari, D. Thayer, 2013, 62.

[55] იხ., გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018, 64-65.

[56] Esbeck C.H., Religion and a Neutral State: Imperative or Impossibility, Cumberland Law Review, Vol.15, 1984, 68.

[57] De Been W., Taekema S., Religion in the 21st Century, Debating the Post-Secular Turn, Erasmus Law Review, Vol.5, No.1, 2012, 1.

სტატუსი და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ ფაქტობრივად ვერცერთი ხელისუფლება შეძლებს ამ ყოველივეს იგნორირებას ან დაძლევს. რელიგიური ინსტიტუტები ძალზე აქტიურობენ თანამედროვეობისათვის ბევრ, უკვე სეკულარულ სფეროში, რომლებიც ისტორიულად მათი სფერო იყო ან მათ საქმიანობას უკავშირდებოდა, განსაკუთრებით ეს იგრძნობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა, ქორწინება, ევთანაზია, აბორტი და ა.შ.[58]

ოფიციალური ნეიტრალური პოლიტიკის მიუხედავად, ფრანგული ლაისიტეც კი უმცირესობის რელიგიებისადმი მიმართული, უმრავლესობის რელიგიურ განწყობასთან მეტნაკლებად თავსებადი და სინქრონიზებული მოდელია.[59] მეტიც, რომის კათოლიკე ეკლესიასთან განსაკუთრებული კავშირის გამო, ხშირად Catho-Laique-საც უწოდებენ, რათა ხაზი გაუსვან მის დამოკიდებულებასა და ორმაგ სტანდარტს.[60] როცა სახელმწიფო სეკულარიზმის პირობებში ასეთი მდგომარეობაა, რა თქმა უნდა, ადვილი მისახვედრია რა ხდება ლიბერალურ და მით უმეტეს, თანამშრომლობით სეკულარიზმში. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამიჯნულია, მულტირელიგიური ქვეყანაა, დღემდე მთავრობაც, შტატების უმრავლესობა და ადგილობრივი თვითმმართველობები სხვადასხვა ფორმით მაინც გამოხატავს საკუთარ ფავორიტიზმს, უპირატესობას ანიჭებს ქრისტიანობას.[61]

სახელმწიფოების მიხედვით სეკულარიზმსა და რელიგიურ ნეიტრალიტეტს უამრავი პრობლემა და გამოწვევა აქვს. მათი ნაწილი ისტორიულ-კულტურული მიზეზებითაა განპირობები, რომელთა უმრავლესობაც კარგად „იფარება“ სამართლით, ნაწილი კი სამარ-

---

[58] Rosenfeld M., Introduction: Can Constitutionalism, Secularism and Religion Be Reconciled in an Era of Globalization and Religious Revival?, Cardozo Law Review, Vol. 30, 2009, 2360.
[59] იქვე, 2349.
[60] იქვე, 2352.
[61] იხ., Esbeck C.H., Religion and a Neutral State: Imperative or Impossibility, Cumberland Law Review, Vol.15, 1984, 80-81.

თლის კონსერვატიული ფუნქციის გათვალისწინებით, სტატუს კვოს შემადგენელია და მიღწეული, თუნდაც მყიფე ბალანსის დარღვევის მსურველი იშვიათად თუ მოიძებნება. ამ გარემოებათა გარდა, მნიშვნელოვანია გლობალიზაციისა და მიგრაციის პირობების გათვალისწინებაც, ვინაიდან ამ მოცემულობაში მულტიკულტურული, მულტიეთნიკური და რელიგიურად მრავალფეროვანი ხდება, არელიგიურობა და სრული სეკულარიზაცია ფაქტობრივად წარმოუდგენელი ხდება.[62] მიგრაციის ახალმა ტალღამ მნიშვნელოვნად შეცვალა მდგომარეობა ევროპაში: ემიგრანტების უმრავლესობისთვის რელიგია, განსაკუთრებით კი ისლამი, კულტურული იდენტობის ნაწილია, ამან ბუნებრივად გამოიწვია რელიგიის კერძო სფეროდან კვლავ საჯაროში გადანაცვლება, მსგავსად აშშ-ისა, სადაც რელიგია არც არასდროს გამქრალა საჯარო სფეროდან.[63]

საინტერესოა ჰაბერმასის შეფასება, რომ თანამედროვე მსოფლიო სეკულარულიდან პოსტ-სეკულარულ ფორმაზე გადადის.[64] სახელმწიფოთა დიდ ნაწილში აღნიშული, მართლაც, აქტუალურია, თუმცა, რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა თანამედროვე დემოკრატიებში, განსაკუთრებით პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში, სადაც დომინანტმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა ფაქტობრივად სრული სოციალური ჰეგემონია დაამყარეს საზოგადოებასა და ხელისუფლებაზე. 1990-იან წლებში დაწყებულმა პროცესებმა ეკლესიათა ნაწილს de facto სახელმწიფო ორგანიზაციის სტატუსი მიანიჭა და გარკვეული პერიოდი ჩაანაცვლა კიდეც საჯარო ხელისუფლება. ამ მდგომარეობის დათმობა კი შემდგომში, რა თქმა უნდა, არ მოისურვა, რამაც წარმოშვა წარმოუდგენლად ტრაგიკული ვითარება საქართველოს მაგალითზე. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს ყოველივე დააზარალებს არა მხოლოდ საკუთრივ ეკლესიას,

---

[62] Rosenfeld M., Introduction: Can Constitutionalism, Secularism and Religion Be Reconciled in an Era of Globalization and Religious Revival?, Cardozo Law Review, Vol. 30, 2009, 2359.

[63] De Been W., Taekema S., Religion in the 21st Century, Debating the Post-Secular Turn, Erasmus Law Review, Vol.5, No.1, 2012, 1.

[64] იხ., Habermas J., Zwischen Naturalismus und Religion, Philosophische Aufsätze, Frankfurt am Mein, 2009, 119-154.

არამედ მთლიანად სახელმწიფოსა და საზოგადოებას, უშუალო გავლენას იქონიებს პიროვნულ თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებზეც. სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში არათუ პოსტ-სეკულარიზმამდე, არამედ თუნდაც სეკულარიზმის რომელიმე მოდელამდეც კი ძალზე შორია. შეუძლებელია „პოსტ“ დადგეს, თუკი ჯერ თავად სეკულარული სახელმწიფოც კი არ არსებობს. ამ მიმართულებით, ისევე როგორც სამართლის, მართლმსაჯულებისა თუ სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სფეროებში უწყვეტად და „წარმატებით“ გრძელდება საბჭოური ტრადიცია, რომელიც თეორიულ-ფორმალურ დონეზე იდეალურ ვითარებას ხატავს, ხოლო პრაქტიკულად დიამეტრულად განსხვავებულ სინამდვილეს ამკვიდრებს.

IV. დასკვნა

სეკულარიზმის კონცეფცია ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თავად რელიგიური მიმდინარეობები და მათი გავრცელების გეოგრაფია. ბუნებრივია, სეკულარიზმის სამართლებრივი მოდელების მიმართ უამრავი განსხვავებული მიდგომა არსებობს, როგორც კლასიფიკაციის, ისე უშუალოდ მოდელთა მახასიათებლებისა და მათი შინაარსის თვალსაზრისით. შეუძლებელია ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების უნივერსალური სისტემის შემუშავება, მეტიც, საკუთრივ, შიდა მოდელურ დონეზეც კი თითოეული მათგანი განსხვავდება სახელმწიფოთა კულტურის, ისტორიისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

სეკულარიზმი ხშირადაა მანიპულირებისა და პრორელიგიურ საზოგადოებაზე ზემოქმედების ეფექტიანი მექანიზმი, განსაკუთრებით განვითარებად სახელმწიფოებში. საქართველოში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის აღნიშნული მოდელი, რომელიც შედარებითსამართლებრივ პრაქტიკაში როგორც ეკლესიისთვის, ისე სახელმწიფოსთვის იდეალური საშუალებაა, სწორად გამიჯნონ სამოქმედო სივრცე და საკუთარი დამოუკიდებლობა უზრუნველყონ, საშიშ და მიუღებელ ინსტიტუტადაა ქცეული. ეს კი იმ დროს ხდება, როცა თანამედროვე მსოფლიო სეკულარიზმის შემდგომ განვითა-

რებასა და პოსტ-სეკულარიზმის გამოწვევებზეა ორიენტირებული. ნაცვლად იმისა, რომ საქართველომ მხარი აუბას ყველაზე თანამედროვე ტენდენციას, ჯეროვანი თადარიგი დაიჭიროს და განსაკუთრებულად მაღალ დონეზე უზრუნველყოს რელიგიის თავისუფლება ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის კონტექსტში, ქართული საზოგადოება სრულიად განსხვავებული პრიორიტეტებით მოქმედებს. ეს წარმოუდგენელ ზიანს აყენებს ჯერ კიდევ დაუსრულებელ ღირებულებათა წესრიგს ქვეყანაში. პოსტ-სეკულარიზმის გამოწვევებზე ორიენტირებამდე აუცილებელია სეკულარიზმის გამართული და ეფექტიანი სამართლებრივი მოდელის დამკვიდრება, რომელიც სამომავლო დისკურსისთვის საფუძვლებს შექმნის და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების ქართული მოდელის დემოკრატიულობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.